



დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი

დავით ტვილდიანის სამედიცინო
უნივერსიტეტში პროგრამების დაგეგმვის,
შემუშავების და განვითარების პოლიტიკა

თბილისი

დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების პოლიტიკა

შესავალი

დოკუმენტი ეფუძნება Twining-CEIBAL პროექტის ფარგლებში საქართველოსთვის ჩატარებული ტრენინგების ფორმატში და ერაზმუს+ ფარგლებში განხორციელებული e-PBL-net პროექტში დაგროვებულ და საკუთარ გამოცდილებას, ასევე უმაღლეს სამედიცინო განათლებაში თანამედროვე კვლევებით დადასტურებულ საერთაშორისო გამოცდილების ანალიზს.

I. პროგრამის დაგეგმვის სახელმძღვანელო პრინციპები

სასწავლო პროგრამა დაგეგმვის ეტაპზე უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

1. პროგრამის პროფილის აღწერა;
2. პროგრამის მიზნების განსაზღვრა, სწავლის შედეგების აღწერა კომპეტენციების, ცოდნის და უნარების ტერმინებით;
3. პროგრამის ფარგლებში მისაღები ზოგადი და დარგობრივ-სპეციფიური კომპეტენციების განსაზღვრა;
4. აკადემიური შინაარსის (თემები) და სტრუქტურის (მოდულები და კრედიტები) ფორმირება და აღწერა;
5. შეთანხმებული შედეგების მიღწევაზე მიმართული საგანმანათლებლო ერთეულებისა და საქმიანობის სახეობების განსაზღვრა;
6. შედეგების შესაბამისი სწავლების და შეფასების მეთოდების განსაზღვრა;
7. ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისთვის შესაფერისი შეფასების სისტემის შექმნა.

II. დეტალიზაცია განმარტებისთვის

პროგრამის პროფილი – პროგრამაზე (ახალი) მოთხოვნის და მისი რეალიზაციის პოტენციალის განსაზღვრა; კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, პროგრამის სამიზნე ჯგუფები, ასევე ადგილი ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში და სხვა. აკადემიური ხარისხის ან კვალიფიკაციის პროფილზე ძირითადი აქცენტი კეთდება შედეგზე დაფუძნებულ სასწავლო პროგრამაში. პროფილი საზოგადოების მიერ იდენტიფიცირებულ და აღიარებულ საჭიროებებს უნდა დაეფუძნოს, რაც მეტად დინამიური პროცესია. კარგად განსაზღვრული პროფილი ითვალისწინებს განსხვავებული მომხმარებლების ინტერესებსა და პერსპექტივას. პრაქტიკაში შიდა დაინტერესებული მხარე სტუდენტები და აკადემიური საზოგადოებაა, ხოლო გარე დაინტერესებული მხარეები არიან: დამსაქმებლები (ორგანიზაციები), კურსდამთავრებულები, პროფესიული ორგანიზაციები. თითოეულ მათგანს აქვს თავისი ადგილი იმ გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რომელ ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი და რა

ზომით. ამასთან, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი უნიკალურია. საბოლოოდ პროფილი ეფუძნება აკადემიური პერსონალის დასკვნებსა და გადაწყვეტილებას და მტკიცდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

სწავლის შედეგები – შედეგების სრულად და შესაბამისი სახით აღწერა მთლიანად პროგრამულ და მისი კომპონენტების დონეზე; სწავლის შედეგების პროგრამის პროფილთან შესაბამისობა და მათი განაწილება; სწავლის შედეგების დარგობრივ-სპეციფიური და ზოგადი კომპეტენციით ფორმულირება და მათი შესატყვისობა პროგრამის შესაბამის დონესთან; მათი სათანადო შეფასების მეთოდოლოგიები; სწავლებისა და სწავლის საკითხებში კომპეტენციების შესაბამისი მიდგომების განსაზღვრა.

სწავლის მოსალოდნელი შედეგები - ყველა რეკომენდაციით აქ გათვალისწინებული უნდა იყოს დამსაქმებელთა მოთხოვნები და საჭიროებები. რიგი რეგულირებადი პროფესიებისთვის, ეს გარკვეულ უნარ/ჩვევებთან ერთად პროფესიის ადეკვატური ეთიკური ღირებულებების აღზრდას გულისხმობს. მაგ: სამედიცინო განათლებისათვის საწავლო პროგრამაში/კურიკულუმში ფორმულირებული სწავლის შედეგებიდან (ცოდნა, უნარ-ჩვევები) ყველაზე აქტუალური სამედიცინო პროფესიონალიზმის საკითხების განხილვა იქნება.

პროგრამის/კურიკულუმის შინაარსი - პროგრამის შინაარსი მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. ამასთან, ჩვენ როგორც ევროპული სივრცის ნაწილი და ბოლონიის პროცესის მონაწილე გარკვეულწილად შეზღუდულები ვართ, ანუ ჩვენი კურსდამთავრებულის დონე აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს საერთო ევროპულ სტანდარტს (ამჟამინდელი კონკურენციის პირობებში კი სასურველიც კია რომ აღმატებოდეს მას) რათა ევროპული სივრცის სწავლების შემდგომი ეტაპის პროგრამებში იყოს მათი ჩართვის შესაძლებლობა. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია სასწავლო მასალის ხარისხის შეფასება. ამ სახის ორიენტირები, მათ შორის რეგულირებად დარგებში, (სასწავლო მასალის შედარების და შეჯერებისთვის არჩეული პროტოტიპები, სკოლები) არსებობს.

პროგრამის ორგანიზება - ამ ნაწილში თანამედროვე მოთხოვნა/რეკომენდაციაა ინტეგრირებული სწავლება. ინტეგრირებული კურიკულუმის დიზაინი შედეგების ირგვლივ სტრუქტურირებას მოითხოვს და ინტეგრირებული შეფასება უზრუნველყოფს ინტეგრირებულ სწავლებას.

სწავლების/სწავლის ფორმები უნდა საგნობრივ-სპეციფიური იყოს. ამასთან სწავლების მეთოდების საკმაოდ გრძელი ჩამონათვალი არსებობს, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია შემდეგი: ასეთი ჩამონათვალი ფაქტობრივად პედაგოგიური საქმიანობის მხოლოდ კატეგორიებს წარმოადგენს, ამასთან თითოეული მიდგომის პრაქტიკული რეალიზაცია ცვლილებას განიცდის არა მარტო პედაგოგებს შორის, არამედ ერთი და იგივე პედაგოგის პრაქტიკაშიც კი მეცადინეობის მიზნის და სწავლების სასურველი შედეგების მიხედვით. თავისთავად ლექცია კი შეიძლება შეიცვალოს როგორც ფორმატის ისე ფუნქციური თვალსაზრისით: მაგალითად ლექციაზე შეიძლება ახსნილი იყოს საკვანძო, რთული საკითხები, ან

განხილულ იქნას ცალკეული პრობლემა/პრობლემათა ჯგუფი. და ამის მსგავსად ეს ვრცელდება სწავლების ყველა სხვა მეთოდზეც: ამგვარად თავისთავად მეთოდის დასახელება მოსახერხებელია, მაგრამ ის მთელი სიზუსტით არ ასახავს იმას, რასაც აკეთებს პედაგოგი. შესაბამისად, როგორც სწავლების შემთხვევაში სწავლის მეთოდების გასაგებად საჭიროა იმ დავალებათა განსაზღვრა და ანალიზი, რომელსაც იღებს და ასრულებს სტუდენტი (ლიტერატურის დამატებით მოძიება და მიმოხილვა; პროფესიული ჩვევების ტრენინგი, პროექტის, კვლევითი ნაშრომის შესრულება და სხვ.).

კურიკულუმის დიზაინი

სასწავლო პროგრამის შინაარსი უნდა განისაზღვროს იმ ცოდნით, რაც სტუდენტს უნდა ესმოდეს და უნარ-ჩვევებით, რომელთა დემონსტრირება სტუდენტს უნდა შეეძლოს სასწავლო კურსის/მოდულის ან სასწავლო პროგრამის დასრულების შემდგომ. მნიშვნელოვანია პოტენციური სტუდენტების საწყისი დონე, მოდულების შემუშავების წესი – ნათლად გაწერილი სწავლის შედეგებით, სწავლების, სწავლის და შეფასების შესაფერისი კრიტერიუმებით, მოდულის შესწავლისთვის საჭირო საწყისი ცოდნის/გამოცდილების და მისაღწევი დონის გათვალისწინებით და სხვ. სწავლის პროცესში სტუდენტის მიერ მისაღწევი საკვანძო ცოდნა და უნარ-ჩვევები განსაზღვრავენ სასწავლო პროგრამის/კურიკულუმის შინაარსს. სწავლის შედეგები ფორმულირებულია როგორც საგანმანათლებლო პროგრამის, ისე ინდივიდუალური კურსის/მოდულის დონეზე.

კომპეტენციები ვითარდება პროგრესირებადი გზით. ეს ნიშნავს, რომ მათი ფორმირება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა დონეზე, კურსის ერთეულების ან მოდულების გარკვეული რაოდენობის მიერ. პროგრამის დაგეგმვის ფაზაში უნდა გადაწყდეს, თუ რომელ ერთეულში უნდა ჩამოყალიბდეს ესა თუ ის კონკრეტული კომპეტენცია. ამასთან შეიძლება არსებობდეს კომპეტენციები, რომელთა ფორმირება არ არის გამოკვეთილი აშკარად. დეტალურად უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის კომპეტენციები, რომელთა შეფასებაც ფაქტიურადაა შესაძლებელი.

სტუდენტ-ცენტრულ და შედეგზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაში ყველა ერთეული ერთი ან მეორე გზითაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს ეხება არამარტო კურსის ერთეულებს ან მოდულებს, რომლებიც შეადგენენ კურიკულუმის ძირითად ნაწილს ან ბირთვს, არამედ ასევე დამატებით და არჩევით კურსებს. კარგად დაგეგმილ პროგრამაში დამატებითმა და არჩევითმა კურსებმა უნდა გააძლიერონ საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი, უზრუნველყონ სტუდენტის მომავალი კარიერული ზრდის არჩევანის შესაძლებლობა.

სასწავლო დატვირთვის განხილვისას მნიშვნელოვანია კრედიტების განსაზღვრის წესი, მათი კავშირი სწავლის შედეგებთან. აგრეთვე პროგრამის რეალიზაციასთან დაკავშირებული აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფის და შეფასების საკითხები: მონიტორინგი, მოდერნიზაციის შესაძლებლობები; მდგრადობის, ორგანიზების და სხვა საკითხები.

პროგრამის (კურიკულუმის) ცვლილება განვითარების მიზნით მოდერნიზაცია გულისხმობს (i) ახალი კურიკულუმის მოდელის და საგანმანათლებლო სტრატეგიის

შემუშავებას და/ან; (ii) კურიკულუმში ახალი თემების შემოტანას; და/ან (iii) სწავლების ახალი სიტუაციების; სწავლების ახალი მიზნების და ხერხების დანერგვას; (iv) შეფასების ახალი მეთოდების იმპლემენტაციას, რაც ასევე გულისხმობს შტატის განვითარების (ზ/ასაკითხებში) აუცილებლობას.

პროგრამის მოდერნიზაციის შესაძლებლობების განსაზღვრის და რეალიზაციისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია შემდეგი 2 საკითხი: (1) კურიკულუმის ცვლილება დარგში (მედიცინა) არსებული ცვლილებების/მიღწევების/გამოწვევების შესაბამისად (საპასუხოდ); (2) პროცესის სწორად/სათანადოდ მომზადება და პროცედურების ეტაპობრივი წარმართვა.

III. პროგრამის შემუშავების და/ან მოდერნიზაციის მიზნით პროცესის მომზადება და წარმართვა

პროცესის მომზადება

მოდერნიზაციისათვის მზადების საწყის ეტაპზე საჭიროა პროცესის გამოყვანა დეპარტამენტების კონტროლიდან და იმ ჯგუფის შექმნა, რომელსაც ენიჭება პასუხისმგებლობა კურიკულუმის დიზაინზე. ამ ეტაპზე ჯგუფს „კურიკულუმის განვითარების ჯგუფი“ ჰქვია; ჯგუფის ფორმირების საუკეთესო მახასიათებლებია: ხელმძღვანელი - უნივერსიტეტის მაღალი თანამდებობის (გადაწყვეტილების მიმღები) პირი, მაგალითად დეკანი; ჯგუფის წევრობისთვის პირთა (კანდიდატთა) არა „დანიშნა“, არამედ „შეთავაზება“ კანდიდატად იმ პირთა განხილვა ვინც სამედიცინო განათლების საკითხებში ავლენს/ამტკიცებს ენთუზიაზმს და ცვლილებების სურვილს. მნიშვნელოვანია აგრეთვე ბალანსი საბაზისო და ქცევითი მეცნიერებების, კლინიცისტების (რაც ნაკლებ სპეციალიზებულია უკეთესია), ზოგადი პროფილის ექიმების, არა-საუნივერსიტეტო ბაზის კლინიცისტების, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის. ძალზედ სასურველია ახალგაზრდა ექიმების, სტუდენტთა და საზოგადოების წარმომადგენელთა ჩართვა. ამგვარად, სასურველია ჯგუფი შეძლებისდაგვარად დაბალანსებული იყოს ასაკობრივი, დარგობრივი (საბაზისო/კლინიკური) და ადმინისტრაციული (აუცილებელი მინიმუმი) კუთხით.

პროცედურის წარმართვა:

- ✓ კურიკულუმის შემუშავების/განვითარების ჯგუფის შექმნა;
- ✓ ჯგუფის „სწორი“ ფორმირება (ბალანსი აკადემიური, ადმინისტრაციული წარმომადგენლობის, ასაკობრივი და ა.შ.);
- ✓ კურიკულუმის დიზაინის შემუშავება;
- ✓ კურიკულუმის დიზაინის განხილვა სპეციფიურ ჯგუფებში, ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული წრეებისათვის;
- ✓ კურიკულუმის საბოლოო სქემის შემუშავება და კურსის სილაბუსის გაწერა;
- ✓ საჭირო დეტალების პრეზენტაცია და შეფასების სისტემის სწორი დაგეგმვა;
- ✓ პროგრამის თვითშეფასება ყველა საჭირო მიმართულებასა და ასპექტში (მაგ: საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, პროგრამა, კურსები, კურსდამთავრებულთა მისაღწევი კომპეტენციები და ა.შ.);
- ✓ კურიკულუმის კომიტეტზე დამტკიცება;

- ✓ აკადემიურ საბჭოზე დამტკიცება;
- ✓ გარე თვითშეფასებისთვის პროცესის მომზადება და პროგრამის წარდგენა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვის*;
- ✓ პროგრამის აკრედიტაცია;
- ✓ პროგრამის იმპლემენტაცია.

*შენიშვნა: განხორციელებული ცვლილება ყოველთვის არ საჭიროებს პროგრამის ხელახალ აკრედიტაციას (იხ. ზ/ა-ში: „კურიკულუმში ახალი თემების შეტანა; ახალი სასწავლო მეთოდები და/ან შეფასების ინსტრუმენტები)

IV. პროგრამების შემუშავებისა და განვითარების დაგეგმვის, საჭირო პროცედურების განვითარებასთან მიმართებაში სამუშაო ჯგუფისთვის საკითხთან (შემუშავება, ა. შ.) დაკავშირებული ლიტერატურა:

1. Amanda Howe “Twelve tips for developing professional attitudes in training”; *Medical Teacher*, (2003); 25:5, 485-487
2. Raja C. Bandaranayake “How to Plan a Medical Curriculum”; *Medical Teacher*, (1985), 7:1, 7-13
3. AlamSher Malik & Rukhsana Hussain Malik “Twelve tips for developing an integrated curriculum”, *Medical Teacher*, (2011); 33:2, 99-104
4. Mohamed M. Al-Eraky “Curriculum Navigator: Aspiring towards a comprehensive package for curriculum planning”; *Medical Teacher*, (2012), 34:9, 724-732
5. Richard T. Sarki, Larrie W. Greenberg & Andrew P. Wilking “Twelve tips for a successful clerkship”; *Medical Teacher*, (1997), 19:2, 95-98
6. Helen O'Sullivan, Walther van Mook, Ray Fewtrell & Val Wass “Integrating professionalism into the curriculum: AMEE Guide No. 61”; *Medical Teacher*, (2012), 34:2, e64-e77
7. Peter Mcleod & Yvonne Steinert “Twelve tips for curriculum renewal”; *Medical Teacher*, (2015), 37:3, 232-238
8. Judy McKimm & Paul Kneath Jones: Twelve tips for applying change models to curriculum design, development and delivery; *Medical Teacher*, (2017): DOI:10.1080/0142159X.2017.1391377
9. Katrin Schüttpelz-Brauns, Elisabeth Narciss, Claudia Schneyinck, Klaus Böhme, Peter Brüstle, Ulrike Mau-Holzmann, Maria Lammerding-Koeppe l & Udo Obertacke: Twelve tips for successfully implementing logbooks in clinical training”; *Medical Teacher*, (2016), 38:6, 564-569